F567 ✓3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლო!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 4 (141)

მარტი,

1966 წელი



მოგვილოცნია!

უოველ გაზაფხულს ზეიმობს მოწინავე კაცობრიობა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს; ამით გამოხატავს ქალისადმი კრძალულობას და პატივისცემას. ადიდებს ქალს, — როგორც დედას, დას, მეგობარს; ქალს — ადამიანის ბედნიერებისათვის აქტიურ მებრძოლს, მშვიდობის, ახალგაზრდობის სიცოცხლის მრისხანე დამცველს.

და აი, ამ ნათელ გაზაფხულზეც გილოცავთ რვა მარტს, ჩვენო გარეჯართველო დებო და დედებო, ჩვენო მეგობარო ქალიშვილებო. გილოცავთ და თან ვატანთ უველაზე ნათელ სურვილებს, გისურვებთ წარმატებებს კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ქართველი ხალხი მუდამ შარავანდედით მოსავდა ქალს, თვით ჩვენი სიტყვები — „დედაენა“, „დედასამშობლო“, „დედაბოძი“, „დედამიწა“ შემთხვევით შედგენილი კომპოზიტები როდია. ეს გამოხატავს ქალის — დედის უპირველეს ადგილს იქ, სადაც უველაზე დიდი და წმიდათაწმინდა სიყვარულია. ქართველი დედის ამაღლებელ და შთამაგონებელ სახეს გვიხატავენ მრავალრიცხოვანი ხალხური ლექსები და ბალადები, მათში ვხედავთ დედას — პატრიოტს, მებრძოლს, შვილების უანგარო მოყვარულს, ერის სიმრავლისა და სიუხვის, ძალ-ღონისა და სიწმინდის დედაბოძს. და ბოლოს ქართველი ხალხის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დიდ ფილოსოფიურ, საკაცობრიო იდეალებში ქალისადმი უმაგალითო თაყვანისცემასაც გამოხატავს.

საქართველო მრავალ ჭირ-ვარამს გადაარჩინეს და ადღეგრძელეს ქართველმა დედებმა, რომლებიც სამშობლოს უზრდიდნენ ცხრა ძმა ხერხეულიძეს, სამას არაგველს, ვეფხვთან მებრძოლ მოყმეს, თავფარავნელ ჭაბუკს. სწორედ ესენი იყვნენ ჩვენი თაყვანსაცემი — „ოთარაანთ ქვრივები“, „თავსაფრიანი დედაკაცები“, მოამაგე და თავდადებული მანდილოსნები.

დღეს, აყვავებული საბჭოთა საქართველოს მოწინავე ქალები, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის წინსვლაში თავის ღირსეულ სიტყვას ამბობენ: მოჰყავთ უხვი მოსავალი, ქსოვენ და აშენებენ, ქმნიან ამაღელვებელ მხატვრულ ნაწარმოებებს, ზრდიან განათლებულ, კულტურულ, შრომისმოყვარე ახალგაზრდა თაობას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს, გისურვებთ ბედნიერებას და წმიდათაწმინდა მანდილოსნობას.

მაყვალა მრევლიშვილი

არსენას ძეგლი

წამოისხა ნაბდად ზეცა,
მთვარე უდგას მხარსაქეთა,
ჩოხის კალთა აიკეცა,
ძველებურად გზას გახედა,
მდორე მტკვარში ჩახატულებს
ითვლის სანთლებს ჩაუქრობელს,
სტვენტს სინათლის ნაკადულებს,
მანქანა რომ ჩაუქროლებს.
ქედებს ღურჯად შემოსილებს
თვალს აღერსით გააყოლებს,
ზედაზნის ტყეს შემოსცინებს,
შიგ ირმები ბალახობენ.
ჩუქურთმიან — აივნიან
სახლებს შუქი გაღმა რჩებათ,
მცხეთელები ჩაიღიან:
— ჩვენს არსენას გამარჯვება!
...მზე მხარზევით მოიყენა,
ვარსკვლავები — მხარსაქეთა,
ყელი კოხტად მოიღერა,
მგზავრებს შვებით გადახედა:
— გამარჯვება ნუ მოგაკლოთ,
გზას საითაც ესწრაფვით,
დახეთ, ძმებო, ლხენის წყაროს
რა მწყურვალი ვეწაფები.
მშვიდად შრომას დავნატროდი,
კერა მაინც განიავდა,
თოფ-იარაღს დავხაროდი,
გული ისე გამიავდა.
ძმის მოსარჩლედ მიმიჩნიეს,
სიავკაცის მტერი ვიყავ,
ყანას, ყამირს, მიწის პირებს
მეც დავბდღვნილი დევივითა.
ხარს თვალებში ვაკოცებდი, —
უდელს უკეთ ეწეოდა,
წვეთი სისხლის დანახვაზე
ფეხქვეშ მიწა მერწეოდა.
ყანჩაღობა ჩემი ვინ თქვას,
მეც კრავივით გული მქონდა,
დამწვეს, მაინც, არავისთვის
არ დამიკრავს ურიგოდა.
ცხრა კელაპტარს დავანთებდით,
მაინც ბნელში ვისხედითდა...
დედაკაცი დაბადების,
გაჩენის დღეს იწყევლიდა.
გავიჭერი, ვერ გავუძელ
დედინაცვალ ბედის ჭიდილს,
სამართალი არსად იყო,
მე სამართალს თავად ვჭრიდი.
ფერხული აქვთ ახლო-მახლო
ჩემი ქვეყნის ყოველ მხარეს,
გამარჯვება ნუ მოაკლოთ,
მტრის ჯავრი რომ ამომყარეს.
ვენაცვალე ქართლის მიწას,
ნამყენს მაგარ ძირებიანს;
საქართველო ვეღარ ვიცან,
ეს რამდენი მძინებია!
სოფელ-სოფელ ავიარე,
არსენები იქა ვნახე,
ჭირ-ვარამით ნაიარევს
სხვა სიმღერა მიკარნახეს.
ჩამოხსენით მცხეთის კარი,
გმირები ხართ ანარჩევად;
ამ დღეებს რომ შემასწარით,
ნუ მოგაკლოთ გამარჯვება.

ნაზი კილასონია

მარტია, მარტია

მარტია, მარტია,
ენძელებს მაყრიან,
სიცოცხლე ლამაზი როგორ მიხარია.
სიმწვანე მოაწვა თელიანს, არყიანს,
რა კარგი მიწაა, რა თბილი მხარეა!

მივალ, გაზაფხულის სურნელმა დამბნიდა,
ცამ მკერდი შეიხსნა წვიმებში ნაბანი,
მე დედის ღიმილი წამომყვა აკვნიდან
მე დედამ მასწავლა ქართული ანბანი.

და ახლა, მარტი რომ აღვიძებს ყამირებს,
მთებში რომ წკრიალით ამღერდნენ ხევები,
საჩუქრად მოგიტან სულ პირველ ყვავილებს,
ისევ მომეფერე დედური ხელებით.


და ვიდრე მიწაზე ხარობენ ალვები
ეგ კარგი ღიმილი გულს ემახსოვრება.
დედავ, დამილოცე გზები გასავლელი
და გაზაფხულივით ნათელი ცხოვრება.

მედეა კახიძე

თუ დაგიჭირო სიცოცხლე...

მთაზე ნისლები ბოლავს და
უცეცხლოდ იწვის ქედები,
გულო, ჩადექი საგულეს,
გულო, ნუ გამიხელდები.
მიყვარს შენი მზე, ზეცაზე
აგორებული ძახავით,
კავკასიონის ქედები,
ხელიხელ გადაჭდობილნი
სამას არაგველ ძმასავით.
ვარ შენი მიწის დობილი,
ყვარულ მთის ძუძუნაწოვი,
ალაზნის ველის აკვანში
ხარი ირმების ნაპოვნი.
მე შენი ბებერ მიწისა
მიყვარს ბალახის ფესვები,
და ვერხვიანში ვერხვების
დაუწერელი ლექსები.
თვალი საავდროდ გაწვიმდეს,
თუ დაგიჭირო სიცოცხლე,
ეს სიყვარულის საწინდრად
ეს გულ გადმოგიღლიცე.
მე სიყვარულის სანაცვლოდ
მარჯვენა გადმოგილოცე.
თუ მტერმა კლანჭი ჩაგვასო,
ფოთოლთ შეწყვიტონ გალობა,
არ შეევწიროს სამშობლოს,
დაიწვას ჩემი ქალობა.
თუ დაგიჭირო სიცოცხლე,
მტრებს არ დავაცხრე ორბივით,
მზე ჩამიღამდეს თვალებში,
მიწამც დამიგოს ლოგინი.







„საქართველოს შრომითი დღე“ — ასე უწოდა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა დინარა ნოდიამ თავის ახალ ლინოგრავიურების სერიას. სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — „სვანეთი, ლილე — მზის სადიდებელი“, „ენგურჰესის მშენებლობაზე“, „კახური შემოდგომა“.

ვარძია ელის

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობსო“ — უთქვამს ქართველი ხალხის სულმნათ შვილს ილია ჭავჭავაძეს და საქართველოს ისტორიაც სხვა არა არის რა, თუ არა სხვადასხვა რჯულის დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართული მიწა-წყლის აღორძინების ისტორია, სარწმუნოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის ისტორია.

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის — სამცხე-ჯავახეთის დიდებული ისტორიის მოწმეებად დღევანდელობას მის სახელოვან შვილთა სახელები და ისტორიული ძეგლებიღა შემორჩენია, ძეგლები — ქართველის მარჯვენით ნაგები და დადუღაბებული, რომლებსაც მრავალსაუკუნოვანი ქარცეცხლისათვის გაუძლიათ და ჩვენამდე მოუტანიათ მესხების ვაჟკაცური სული და შემართება, მათი ლომგულობა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული..

სწორედ ძველი მესხეთის მიწა-წყალზე, ასპინძის რაიონში მდებარეობს კლდეში ნაკვეთი შესანიშნავი ნაგებობა — ვარძიის ციხე-ქალაქი. კლდის ქარაფი, რომელიც ზღვის დონედან 1.300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და რომელშიც გამოკვეთილია ვარძიის ქვაბები, 950 მეტრის მანძილზე მისდევს მტკვრის მარცხენა ნაპირს. რამდენიმე სართულად აღმართული უამრავი თაღის სანახაობა თავის დროზე მართლაც თვალისმომჭრელად მდიდარი უნდა ყოფილიყო.

ვარძიის განსაკუთრებული ადგილს უჭირავს როგორც მესხეთის კლდეებში ნაკვეთ ნაგებობათა კომპლექსში, აგრეთვე მთელი საქართველოს გამოქვაბულთა შორისაც. მისი ლოდები მეტყველებენ იმ დიდ ისტორიულ ქარტეხილებზე, რომლებმაც საქართველოს თავზე გადაიარა, განსაკუთრებული სიმძლავრით თავს დაატყდა სამხრეთ საქართველოს, დალეწა და ნანგრევებად აქცია წარსულის დიდებული ძეგლები, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მაინც ვერ აღგავა ისინი პირისაგან მიწისა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც საქართველოს ყველა ისტორიულ ძეგლს, ვარძიასაც სათანადო ყურადღება მიექცა. 1938 წელს აქ დაარსდა მუზეუმი, ხოლო 1941 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა და ფართოდ გაიშალა ვარძიისა და მის ახლო მდებარე ძეგლთა შესწავლის საქმე.

უკანასკნელ ათ წელიწადში მრავალი რამ გაკეთდა როგორც თვით ვარძიის შიგნით, ის მის მისადგომებთან. 1956 წელს აიგო კაპიტალური ხიდი მდინარე მტკვარზე, 1960-62 წლებში კი ჩატარდა ვარძიამდე მისასვლელი გზის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

სამხრეთ საქართველოს ამ უნიკალურ ნაგებობას ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალი ტურისტი ეცნობა. ტურბაზისათვის აშენდა 8 სტანდარტული სახლი, ყოველ წელიწადს მოქმედებს სავაჭრო წერტი, სუვენირების კიოსკი, სასაუზმე, სამედიცინო პუნქტი და საფოსტო განყოფილება, მუშაობს სატელეფონო ხაზი და სხვ.

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის დიდ სამზადისშია ვარძიაც, რომელმაც ჩვენს მხარეში ათასობით მომსვლელს უნდა გაახსენოს თავისი დიდებული წარსული, ერთხელ კიდევ დაადასტუროს საქართველოს სულიერი განვითარების მაღალი დონე.

ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით უკვე დაიწყო ვარძიის ტურისტული ბაზის ახალ კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც გაერთიანდება საძღვნებელი კორპუსი, სასადილო და კლუბი. აქვე აიგება გარაჟი ავტომანქანებისათვის და სხვა სამეურნეო ნაგებობანი, აგრეთვე მოეწყობა სპორტული მოედანი და პლაჟი.

სამშენებლო სამუშაოების პარალელურად გამოსაცემად მზადდება მეგზური „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელშიც ასახული იქნება ვარძიისა და მის მიდამოებში არსებული ძეგლები, დაკავშირებული რუსთაველის სახელთან. გარდა ამისა, სექტემბრამდე არსებული ტურისტული ბაზის ტერიტორიაზე დაიდგმება პლასტმასის 100 ორსაწოლიანი კარავი.

ვარძიის ტურისტების გარდა მომსახურებას გაუწევს აგრეთვე თვითმოქმედ ჯგუფებს, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს. თუ გასულ წლებში ტურბაზის მომსახურებით ისარგებლა 30 ათასზე მეტმა ტურისტმა, ეს მაჩვენებელი მარტო წელს 40 ათასამდე გაიზრდება. ამიტომ ცდილობენ ტურბაზის მუშაკები, რომ რუსთაველის საიუბილეო წლის ეს დიდი გამოცდა წარმატებით ჩაიბარონ.

რა გაკეთდება თვით ვარძიაში? გათვალისწინებულია გაკეთდეს ქვაფენილის ბილიკი ფეხით მოსიარულეთათვის, გაიწმინდოს გამოქვაბულები, მოეწყოს მტკვრის ხეობის ძეგლებისა და მისი მიდამოების მხატვრული გამოფენა, თვით ვარძიაში აღდგეს რომელიმე გამოქვაბული იმ ფორმით, როგორიც იგი იქნებოდა XII საუკუნეში. მომზადდება ვარძიის მთლიანი გეგმა. ვარძიამდე მგზავრობის გასაადვილებლად დაინიშნება ავტობუსის ახალი მარშრუტი თბილისი-ვარძია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხაზით ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები ვანის ქვაბებში, წუნდაში, ბერთაყანასა და თმოგვში.

ვარძია ელის და ემზადება.

თ. გუგუშვილი.



სურათზე: უცხოელი ტურისტები ათვალიერებენ ვარძიას.



შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის შემოქმედებითად ემზადებიან ქართველი მხატვრები, გრაფიკოსები, ხალხური ოსტატები.

ახლახან დაამთავრა შოთა რუსთაველის სკულპტურაზე მუშაობა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ვლადიმერ ჩხეიძემ. სამმეტრიანი სკულპტურული კომპოზიცია აღადგენს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის სახეს. ეს სკულპტორის პირველი ნამუშევარი როდია. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ, როდესაც ჩხეიძე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო, მან მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის ბიუსტის შესაქმნელ კონკურსში.

სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ვ. ჩხეიძე შოთა რუსთაველის სკულპტურულ კომპოზიციასთან.

ჩვენს მკითხველებს

ძვირფასო თანამემამულენო, ჩვენი გაზეთის პატივცემული მკითხველებო!

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან თქვენ უკვე იცით, რომ მომდინარე წლის სექტემბერში ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს თარიღი ფართოდ აღინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

„ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის იუბილესათვის სიყვარულით ემზადება მთელი ქართველი ხალხი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ამ საერთო კულტურულ ზეიმში აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ თქვენც — საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები.

ძვირფასო თანამემამულენო!

„სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგია დიდი სიამოვნებით მიიღებს და გამოაქვეყნებს გაზეთის ფურცლებზე შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ თქვენს მასალებს — სტატიებს, წერილებს, ნარკვევებს, ლექსებს, ფოტოსურათებს და სხვ., აგრეთვე ყოველგვარ ახალ ცნობას „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის გარშემო.

ველით თქვენს წერილებს!

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგია.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქცია

მახარობელი — 1966 წელი

ახალმა წელმა შემოხსნა კარი,
ჯანღი მოისპო, აღარსად არი,
მახარობელმაც ჩამოჰკრა ზარი,
ჩემს თვალს მოშორდა ბნელეთის ფარი.

შორით გამოჩნდა მნათი ცისკარი,
გათავდა, მორჩა შავი სიზმარი,
გაჰქრა ყოველი... ტანჯვებთ კოშმარი,
სინამდვილეა... კარზედ მომდგარი.

შენთან მოვდივარ... ფეხზე ვარ მდგარი,
წინაც მომიძღვის ფრინველთა ჯარი,
მერცხალი არის მათ წინამძღვარი,
ბულბული გალობს, ბანს აძლევს თარი.

გაზაფხულია, მოკვდა ზამთარი,
ჰყვავის, იღვიძებს მთები მძინარი
მწვანე ბიბინებს, მოისპო ნარი,
გაცოცხლდა მდელო, რომ იყო მკვდარი.

მზეც ამოვიდა... და კაი დარი.
მდინარეთ მოსჩქეფს ყინული მდნარი,
ხარობს ბუნება, მასთან მთა-ბარი.
დამშვიდდა ყველა, აღარ ჰქრის ქარი.

ქორფამ დაგტოვე, ვბრუნდები მჭექარი,
შენთან მოვდივარ გულამომჯდარი,
ცრემლი ჩამომდის კვირცხალი ცხარი,
წყლული გამეხსნა, გთხოვ შემიკარი.

ალბათ მოვკვდები... თუ ხელი მკარი,
გულსა მოხვდება ვითა ლახვარი,
კალთები გახსენ... შიგ ჩამიკარი,
ჩემს სულს მიეცი თავშესაფარი.

გათავდა, მორჩა შავი სიზმარი!
გაჰქრა ყოველი, ტანჯვებთ კოშმარი
მოვდივარ შვილი... შენთან სტუმარი,
სამშობლოვ ჩემო, გულს ჩამიკარი.

მოხეტიალის განცდები

ვეხეტებოდი მთებში... და ბარად
სამიკიტნოშიც... კარიდან კარად,
ცხარე ცრემლებით... მარტოდ და ცალად,
ვეცადე დარდი მექცია წყალად,
მაგრამ ვერ შევძელ... ვიყავი არად,
გრძნობა მიქროდა ყინულის ქარად,
ვერაფერს ვხედავ, ხე ჩანდა ჭალად,
და ერთი ცხვარი შიარაქის ფარად,
მზეც გაბადრული დალეულ მთვარად
სევდები მჩხვლეტდა გულშია მჭვალად.
შენთან მოვედი თავშესაფარად
კარს არ მიღებდი, შემოველ ძალად,
დავრჩები შენთან მუდამ და მარად!
რომ მომატყუეს, ამას მდებ ბრალად?
მიტომ მიწყრები და მაგდებ ფრთხალად?
შენი სიტყვები მუხისა ნალად
არ წამეშლება, დამრჩება კვალად,
მე არ მოკვდები, იცოდე მხდალად!
არც გაგიხდები შენ ხათაბალად!
მე ხომ არა ვარ შობილი ქალად?
ხანჯალი მაინც მომეცი ხმალად,
დავტრიალდები მარტოკა ჯარად!
სიცოცხლე ჩემი არცა ღირს ჩალად,
ნუგეში შენი მომეცი ფარად,
ავკეპო მტერი, ვაქციო მხალად.
მაინც არ მიღებ? არც შენსა ზვარად?
რომ შეგეწირო აბრამის ცხვარად?
თუ ასე არის მითხარი ნელად,
ნუ მიჯავრდები, უბრალოდ ხელად,
არც მკვდარს მიმიღებ? შენს სასახელად?
და გარეთ მისვრი... შეუნახელად?!
არც გსურს ევლინო ჩემს სულს ნათელად,
რომ მოევლინო უკვდავ სანთელად?
მაშ თუ ასეა: ვბრუნდები ბნელითა
შენი პანღურით, გულში ნაღვერით,
სევდებით სავსე, სისხლის სახველად,
უცხო მიწაში დასამარხველად!

საფრანგეთში. 1928-36 წელი.

საშობლოს ხმა

№ 4 (141), IV-V გვ.
მარტი, 1966 წ.

ჭერილი კრაპონიდან

დიდად პატივცემულო მდივანო!

უპირველეს ყოვლისა დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რადგან დღევანდლამდის ვერაფერი ვერ გიპასუხეთ, მაღლობა არ გითხარით თქვენი ჩემდამი დიდი ყურადღებისათვის, ზრუნვისა და მრავალი დახმარებისათვის. თქვენი საშუალებით მეღირსა ჩემი დიდი ხნის ნატვრა-სურვილების შესრულება — ჩემი გრძნობა-მწუხარება ჩემი ქვეყნისთვის გამეგონებინა... და ახლა მალე, სულ მოკლე ხანში მის ნახვასაც ვეღირსები. ყველაფერ ამისათვის დიდ, გულითად მადლობას გიძღვნით.

არც კი მეგონა თუ ჩემი ლექსები დასაბეჭდად ღირდა. ამიტომ გწერდით, გინდა გადაგეწორებინათ და თუგინდ დაგეწიათ. ჩემმა ოჯახმა ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა დღევანდლამდის... და ალბათ სიკვდილამდისაც. რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება, ოჯახი რომ არ შემექმნა?.. ოჯახი არის ჩემი მასუგეშებელი, სიკვდილამდე დამამშვიდებელი. რა უშველებელ სამნილ უფსკრულს ვგრძნობდი ჩემს გასვლილ გზაზე... და მომავალზედაც, რომელიც უკვე წამიერი დამრჩენია, ოჯახი რომ არა მქონდეს და ცოლშვილი არა მყვანდეს?... სამშობლოს შემდეგ ჩემი მთავარი მანუგეშებელი ოჯახი არის. ოჯახი რომ არ მეგულებოდეს აქ, ალბათ მკვდარიც წინააღმდეგობას გავწევდი — უცხო, გაციებულ-გაყინულ სამარეში ნუ ჩამფლავთ - მეთქი და ასეთი საიმედო, სანუგეშო ოჯახის შექმნა არ შეიძლება „სახელდახელოდ“. ბევრი, დიდი შრომა, დიდი უნარი, მრავალი ფიქრია საჭირო უცხოეთში გადაკარგული ცარიელ-ტარიელი ადამიანისათვის: კალმის აღება, მისი ტრიალი უფრო ადვილია, ვიდრე ნამდვილი ოჯახის გაძღოლა.

და თუ ვინმემ აქ, უცხოეთში. ოჯახს კალამი არჩია... არა იმიტომ, რომ მართლა შეუძლებელია აქ ნამდვილი ოჯახის შექმნა. ალბათ თავისი შეძლების, უნარის, შნოს იმედი არა ჰქონდა.

მის შემდეგ, რაც კი ფუხი შემოვდგი საფრანგეთში, მაშინვე ვიგრძენი, მივხვდი ჩემს უბედურებას, მოტყუებას... რომ თავს ვიღუპავდი... სისულელე ჩავიდინე... სამშობლო დავტოვე, მშობლები დავამწუხრე, ავატირე... მით უარესად იმის შემდეგ, როდესაც თვალი გადავავლე აქაურ ქართულ ემიგრაციას და ერთმანეთს შორის კინკლაობას, არდადობას, გაკვრა-გაგლეჯას, გამორჩომა-გაღლეტას.

მთლად შემძულდა ყველაფერი... და უკან დაბრუნება გადავწყვიტე. თხოვნაც კი მივეცი პარიზში საბჭოთა საკონსულოს. მაგრამ არც „ჰო მითხრეს და არც უარი. ვიმყოფებოდი, ვიღოდებოდი ასეთ გამოურკვეველ მწარე პირობებში... მშობლებისგანაც არაფითარი ამბავი... ვიფიქრე, რომ ყველამ ზურგი შემაქცია... თუმცა მატერიალურად და ეკონომიურად არასოდეს გამჭირვებია. მუდამ ჩემი შრომით და მუშაობით თავი გამქონდა. და, პირიქით, ბევრ ქართველსაც ვეხმარებოდი. მაგრამ სულიერად, მორალურად ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში ვიყავი... და მანდედანაც სულიერი საზრდოს იმედი გამიქრა, მომესპო...

შეექმენი ოჯახი საღი.. „სახელდებული“... მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ შეეძელი ქართულად... ქართული ენით... რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა ჩემთვის დიდად სატანჯველი და სანანებელია. ალბათ მკვდარიც ვერ მოვისვენებ სამარეში...

სამწუხაროდ, თქვენმა ხმამაც გვიან მოაღწია ჩემამდის. ამ ოცდახუთი წლის წინათ მაინც რომ გამოგვხმაურებოდით, მოგეწოდებინათ სულიერად გამამხნევებელი სარჩო-საზრდო და საკვები, მოგეცათ იქედი და ნუგეში: გეშველებათო უცხოეთში გამოქცეულებს, გადმოკარგულებს... სისულელით თუ მოტყუებით... ახდა, ვინ იცის, იქნებ ბედის უკუღმართობით? თუ კი თავს დავაჯერებდით, რომ სამშობლო მაინც ჩვენზე ფიქრობს, ჩვენზე ზრუნავს, ჩვენი თავი ენატრება... ხელები და გამლილი კალთები ჩვენს ჩახუტებას ელიან... ელოდებიან... ალბათ ძალიან ბევრი, მრავალი ქართველი გადარჩებოდა გაუბედურება-დაღუპვას, მრავალი ნამდვილი ქართული ოჯახი... ქართული ენით... ქართული სულით... და ყოველივე ქართული ბუნებით და ტრადიციებით შეექმნებოდა... თქვენის დახმარებით, თქვენის შემწეობით.

მართლაც რომ დიდად საჭიროა ჩვენ აქ, უცხოეთში მყოფმა შვილებმა თუ შვილიშვილებმა შევინარჩუნოთ, შევინახოთ მთლიანად საქართველოს ერის ნამდვილი სახე, ბუნება და სული... რომ ვიყოთ სასახელო ნიმუში ქართველი ერისა და ჩვენი ძვირფასი სამშობლოსი, სადაც ბუნებას თავისი ნოყიერი და მადლიანი კალთა დაუბერტყია. ქართველი ერი მთელ მსოფლიოში ულამაზეს ერად არის ცნობილი. დიახაც რომ უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ, შევინახოთ ღირსეულად ეს დიდად საამაყო ეროვნული ნიშანთვისება. მაგრამ, მგონი, სამწუხაროდ, ახლა უკვე გვიანია... ძალიან გვიანი ჩემთვის, რადგან მეგონა, რომ ყველამ ზურგი შემაქცია დათვით სამშობლომაც...

მე ვიგრძენი ჩემი თავი ქვეყნისათვის უკვე მკვდარად... და ამიტომ ჩემს ოჯახს, სახლს კარები დ ფანჯრები დასავლეთისაკენ მივეცი... და ამიტომ შვილები, შვილიშვილებიც დასავლეთით გამოიშალნენ-გამოფრინდნენ...

ჩემდა სამწუხაროდ დ საუბედუროდ, ერთადერთი ისღა დამრჩენია; შევქმნ ნათესაობრივი, ერთგული სიყვარულის კავშირი ჩემს შთამომავლობასა და სამშობლოს შორის, ოჯახმა მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩამომაშორა ყოველივეს. ბევრი რამე დამავიწყა... თითქმის ბევრ რამეში გარდამქმნა... მაგრამ ვერ გამიქრა სამშობლოსადმი და ყველა მანდ მყოფთა ძვირფასთა სიყვარული... მხოლოდ დროებით მიმაძინა... და როდესაც ოჯახი უზრუნველყოფილად შევქმენი და ჩემი ადამიანური, მშობლიური მოვალეობა ბოლომდე პირნათლად შევასრულე, არაფერში ქართველი ერი არ შევარცხვინე... ახლა თავს ამაყად ვგრძნობ და თავისუფლადაც. მიძინებულმა გრძნობებმაც, სამშობლოსადმი სიყვარულმაც უფრო ძლიერად გაიღვიძა. და ამიტომ არის, რომ უფრო და უფრო მოთმინებადაკარგული თქვენსკენ გამოვიტირები... მანამ კიდეც ძალა შემწევს... და სიკვდილიც მომისწრებდეს. თუმცა ამ ნატვრას, ოცნებას, ბედნიერებასაც უკვე მალე ვეწერები...

თურმე საფრანგეთში ჩემი ჩამოსვლის პირველ წლებში, ესე იგი 1936 წლამდის, როდესაც ვგრძნობდი, რომ თავი დავიღუპე და ვხედავდი აქ მყოფი ქართველების მოქმედებას, ერთმანეთს შორის განწყობილებას... თურმე ჩემი გულის მოსაფხანად ბევრი რამ დამიწერია ლექსად თუ ისე... და მე კი ეს სავსებით აღარ მახსოვდა...

საქართველო როდესაც დავტოვე მამა დედამ შვილობილად, თავისად მიმიღო, ოჯახის წერას. ვწერე იქამდისნამ ოჯახის შექმნას უდგებოდი. მერე უცბათ წყვიტე და სადღაც მდე. მომაგონდა ეს ჩვეულებრივი, რვეული, ვიფიქრედან ბევრი რამ საინტერ მასალის ამოღება ლება-მეთქი. წარსულ წულს ამის ძებნაში შევედი წავაწყდი ლექსებ სხვას... რაც, არამც მახსოვდა, ძილშიაც ოდეს დამსიზმრებია. პლ ხანებში არც კი მჯდა, თუ ჩემი იყო და ანდი დაწერილი. ასე რომ თქვენს წინაშე მე თის მატყუარა გამოვედ ფიცებოდით, არასოდეს ერი დამიწერიამეთქი სინამდვილეში თურმე ერია... და ესეც, როგორც ამ და ყოველთვის, ჩვ ოჯახის ბრალია...

მაპატ, რომ თავი მოგაბეზ ოჯახზე ამდენი ლაკით. პირადად მე ღრ მწამს და მჯერა თქვენი დესი მიზანი და დღავი ერთგული შრომა მობლოს ბედნიერებისა, გაძლიერებისათვის, ისი კულტურის აღორძისათვის. თუმცა აქ ზოს (დამჟავებულებს! ვენი მოქმედება კიდევ ჩვენებად“ მიაჩნია... ია მოვლენა ცხოვრებაში ორთულით, საქმისათვი დადებულით და მზრუნ მოქმედების დროს ღირსად ვერ აფასებენ. მხოლ — ნამდვილი გამსაჯებელი და ღირსეული ფასებელი ისტორი. მართლაც, რომ ძნელია თქვენი მუშაო რომ არც მწვადი დ და არც შამფური

სამშობლო

სამშობლო ჩემო, მომეცი ხელი,
გამინათევი სიცოცხლე ბნელი,
აქ ნუ მოვკვდები შენს უნახველი,
სჯობს გამოვიჭრა ახლავე ყელი.

დიდი ხანია შენგან მოველი
ნუგეშის პასუხს მოუთმენელი,
შენ გელოდები, შენა ხარ მხსნელი,
აქ თუ დამტოვე, სიკვდილსა ველი.

შენსკენ ვიცქერი, თვალი მაქვს სველი
შენ გელოდები, არ მაქვს საშველი.
უშენოდ ჩემთვის დღენია ბნელი,
სულსა მიხუთავს ბოროტი გველი.

მესროლე მზისა სხივები ცხელი,
ჩემთვის იქნება სიცოცხლის მცველი,
გამითბოს სული და გული ნელი,
რომ გამიმართელდეს ეჭვები ჭრელი.

ჩემი გულისა შენ ხარ მჭედელი
და ჩემს სიცოცხლის გამგრძელებელი,
ჩემი არსების გადამწყვეტელი,
ჩემი ამ ქვეყნად ორჯერ მომსვლელი.

გამომიგზავნე... მახარობელი,
ჩემი გულისა გამხარებელი,
ოქროსი ხანა... ის ოცი წელი,
მანდ რომ დავმარხე, ის სანატრელი.

თანაც გამოჰყვეს სატრფო პირველი,
ჩემი გულისა გამხნევებელი,
რომ ამიდუღლოს სისხლი მყინველი,
ახალგაზრდობის გამღვივებელი.

უშენოდ ჩემთვის ყოფნაა ძნელი,
ბედნიერების შენა ხარ მჭნელი.
ჩემი ბედისა, დავთრისა მთლელი,
შენა ხარ ჩემი... ცხოვრება მთელი.

იმედსა ვკარგავ... პასუხს მოველი.
ოხ, რა დიდია კრულვისა წელი,

მოლოდინი

საუკუნეზე უფროა გრძელი
ჩემი მტანჯველი, ჰკუის შემშლ

დაბნელდა დღენი, ჩაჰქრა ნა
იქნებ შენთვის ვარ მე უცხო
აქ მიმატოვე, ვითა ცხოველი,
აღარ გინდივარ?! ახლა ვარ ძ

მაინც შენი ვარ, მჭვიან ქართ
ჩემს სისხლხორცშია შენი სა
შენი ქვეყნიდან, მე ვარ კ
ახტალის ახლოს... და კოტ

სიყვარული მაქვს შენი გულ
ჩემი სიცოცხლის შენ შემწირ
შენს დიდებისთვის სისხლის ღვრელი,
თავდადებული შენი დამც

რა მენატრება... ჩემი სო
ალაზნის ჭალა, მთები და ვე
მახსოვს, მეც ვიყავ სწრაფი შველი,
იქ ვნავარდობდი ვითა კურ

ვიხილო კიდევ ჩვენშია რთ
ტკბილი მაჭარი და ღვინო ძ
ყანების მომკა, ნამგალი, ცე
ალმასისავით რომ არის მჭ

ქართველი გლეხი... დინჯი მ
სამშობლოს ბედსა ის განუ
ოდეს ქვეყანას აქვს განსაც
მისი ყანაა ბრძოლისა ველი.

მაგრამ გავიდა მრავალი წელ
ახლა სიბერემ მომკიდა ხელ
უკვე ვხუცდები, არ მაქვს სა
მომხედე ჩქარა, შენ ხარ მ

დავტ... იმავ დღიდან შე-
ვუდეგი დიურის, თა-
ვგადასის წერას. ვწერე
იქამდენამ ოჯახის შე-
ქმნას ვედგებოდი. მერე
უცბათვწყვიტე და სად-
ღაც მდე. მომაგონდა
ეს ჩვეღიური, რვეული,
ვიფიქრიდან ბევრი რამ
საინტო მასალის ამო-
ღება ლება-მეთქი. წარ-
სულ ხულს ამის ძებნა-
ში შეცვით წავაწყდი
ლექსდა სხვას... რაც,
არამც მახსოვდა, ძილ-
შიაც ოდეს დამისიზმრე-
ბია. ბედ ხანებში არც
კი მჯდა, თუ ჩემი იყო
და ანემი დაწერილი.
ასე რ თქვენს წინაშე
მე თის მატყუარა გა-
მოვეფიცებოდით, არა-
სოდეს ერი დამიწერია-
მეთქია სინამდვილეში
თურმერია... და ესეც,
როგორდამ და ყოველ-
თვის, ვ ოჯახის ბრა-
ლია...

მაპა, რომ თავი
მოვაბეს ოჯახზე ამდე-
ნი ლათ. პირადად
მე ღრ შვამს და მჯერა
თქვენ დესი მიზანი
და დ ვი ერთგული
შრომ მოლოს ბედნიე-
რებისა. გაძლიერებისა-
თვის, ისი კულტურის
აღორ სათვის. თუმცა
აქ ზ (დამჯავეუ-
ლებს ენი მოქმედება
კიდევ ენებად" მიაჩ-
ნია... ია მოვლენა ცხო-
ვრებ თგულთ, საქმი-
სათვ დებულთ და
მზრუ მქმედების დროს
ღირ ვერ აფასებენ.
მხოლ — ნამდვილი
გამსა ებელი და ღირ-
სეულ ფასებელი ის-
ტორი. მართლაც,
რომ ძნელია თქვენი
მუშაო რომ არც მწვა-
დი და არც შამ-
ფურ

ემიგრანტი

ემიგრანტო! ვერ იყიდე სხვა სამშობლოსა ფულითა,
არასოდეს არ მიგიღებს გულწრფელი სიყვარულითა,
მუდამ იქნები ობოლი და დაჩაგრული სულითა.
იცოდე, ვერ გაიცინებ ვერც როდეს სიხარულითა,
მუდამაც ივლი მოხრილი, სევდებით სავსე გულითა.
დამწუხრებული ატარებ მუდამ ცრემლს თვალის ლულითა.
ჩამოჯკნები, გაყვითლდები, ვით ყვავილი ყინულითა.

შენ ვერ გაგათბობს ქვეყანა, სადაც არა ხარ შობილი
და დაბადების მიწონი არ არის შენზედ ცხობილი,
სადაც რომ შენი აკვანი არ არის გადარწმილი,
და დედაენა პირველი არ არის შენთვის ცნობილი,
სადაც სიყრმიდან გაზრდილი, არა ხარ გამოცხობილი.

...და შენი აკვნის ბალიში, დედის ცრემლით დალბობილი,
რაშიც შენს შემდეგ იზრდება შენი ძმები და დობილი.
და ისმენს მშობლის ნანინას, შენთვის რომ იყო თხრობილი.
სადაც არ ისმის ურმული, რომ მღერის შენი ძმობილი
და მამა-პაპათა ძვლებო... არ არის ჩამოწყობილი...

საფრანგეთი, 1928-36 წელი.









უკვე დარეკა ჩემთვის სანატრელმა, სამახარობლო და სანუგეშო ზარმა. ჩვენი მშვენიერი ქვეყნის მხურვალე და ბრწყინვალე მზის სხივებმაც მოალწია ჩემამდის. გამიშუქა დაბნელებულ სული და გამითბო აკანკალებული გული, მომცა იმედები და სიხარული... ჩემი ნატვრა-ოცნებანი და სურვილები. უკვე სულ მალე გამიმართლდება — ახალი 1966 წელი არის ჩემთვის ახალი წელი მეორედ მოსვლისა... თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, ესე იგი, ორი თაობის შემდეგ.

ჩემი ქვეყნისთვის და მანდ მყოფ ჩემს ძვირფასთათვის მე მკვდარი გავცოცხლდები... და როდესაც ვეღირსები ჩემთვის უკვდავს, სანატრელს და დაუვიწყარს, იმ ბედნიერ წუთებს, როდესაც სამშობლოში ვიქნები... და მათ ჩემს გარშემო შემოხვეულთ დავინახავ... ალბათ ჩემს თვალებსაც კი ვეღარ დაეუჯერებ სინამდვილეს... და ჩემი თავი მუდმივ სიზმარში მეგონება. წარმოდგენითაც კი ვერ წარმოვიდგენ, ენითაც ვერ გამოვთქვამ და ვერც კალმით ავწერ იმ გრძნობებს, ახლა უკვე რომ განვიცდი წინასწარ ფიქრებში.

და რა იქნება მაშინ, იმ წუთებში, როდესაც გზას დავადგები, საქართველოს დავუახლოვდები... და მის საზღვრებში შემოვფრინდები... თვალცრემლიანი მივესალმები... ალბათ ავქვითინდები... და როდესაც ყველას შევხვდები, ვინახულებ, გადავკოცნი, აღარ ვიცი, რა იქნება ჩემთვის... ალბათ იქნება მწუხარება არეული სიხარულში, ტირილი — ღიმილში და ცხარე ცრემლები — სიცილში...

ბევრს, მრავალს გადიდებულს, გაზრდილს, გამოცდილს, გალამაზებულს, გამშვენიერებულს, აკოკრებულს, აყვავებულს, გაშლილ-გაფურჩქნილს... ბევრს და მრავალს ახალს და ახლებს ვნახავ, გავიცნობ...

ყველაფერი ეს ჩემს გულს გაახარებს, ასიამოვნებს და სულსაც დაამშვიდებს. მაგრამ დამწუხრებული თვალები ჩემი მაინც არ დამშვიდდებიან, არც გაჩერდებიან... აქეთ-იქით დაიწყებენ გამწარებულ ძებნას. ვინაიდან ბევრს და მრავალს, ვინც ძვირფასნი იყვნენ ჩემთვის, ვერასოდეს ვეღარ ვინახულებ, ვეღარც ვიპოვნი... ისევე, როგორც ჩემს ძვირფას ოქროს ხანას... ოც წელს, ახალგაზრდობას, პირველ ცხოვრებას, მანდ რომ დავტოვე, მანდ რომ დავმარხე... უკვე არის ორმოცი წელიწადი...

მაგრამ ჯერჯერობით თუ ვეღარ ვნახავ და ვერ ვიპოვი, ალბათ ერთხელ მაინც ოდესმე ყველას შევხვდები... სულს ჰპოვებს სული... და გულსა გული... თუგინდ სხეული, განწორებული, გადაკარგული... იყოს ტანჯული... და წამებული...

კმარა! სჯობს აქ მაინც შევჩერდე... ვგრძნობ ძალიან ვაჭარბებ. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე და რა ძალა ვიხმარო ჩემს გრძნობათა წინააღმდეგ, რომ მართლაც სულელად და გიჟად არ ჩამთვალოთ. მუ-

(დასასრული მე-7 გვ.).

* * *

ამ წერილისა და ლექსების მიღებისთანავე ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი სოფ. კოტეხში ეწვია გიორგი ყალაბეგიშვილის ძმას ზურაბს და თავის ოჯახთან ერთად სურათი გადაუღო (პირველი სურათი), მარჯვნიდან მარცხნივ — ზურაბ ყალაბეგიშვილი, მეუღლე ელენე, შვილები — გიორგი, ნუნუ, ზაქარია; სურათებზე ზემოდან ქვემოთ, სოფელი კოტეხი, ქ. გურჯაანი და კურორტი ახტალა.

დინი

ბოლმების ტვირთით გადმოწყდა წელი
თუ ამდენ ტანჯვებს მე გავუძელი,
და შევინარჩუ შავი კედელი,
იქნებ მეღირსოს... ახალი წელი.

დუმილი შენი გულისა მწველი,
არა თავდება ეს შავი წელი,
რაც რომ დრო გადის, უფრო გრძელდი,
გამუდმებითა ჩემი მტანჯველი.

რათ მომანიჭე მე ეს სასჯელი?!
ცეცხლს რომ მიკიდებს და მწამებელი,
სულისა ჩემის აღმშფოთებელი,
მომე იმედი დამმშვიდებელი.

დარდი გამიჩნდა უშველებელი,
სიცოცხლე ჩემი სანანებელი,
ბოლმას ჩაედგა ღრმა საფუძველი —
რატომ ვითვლები მე უნდობელი?!

ვითომც მე ვიყო ძმებისა მკვლელი,
ძვირფას სამშობლოს მე გამყიდველი,
უბედურთ მშობელთ თალხებჩამცმელი,
მჭონდეს სისხლითა ხელი წითელი.

მე არ ვყოფილვარ მხეცი, არც მგელი
არავითარი... ბოროტის მქნელი,
ვიყავი მხოლოდ... ბავშვი სულელი,
მოტყუებული... გამოუცდელი..

ისმინე ჩემი... უკანასკნელი
ვედრება მწარე, დაუშრეტელი,
გამომიწოდე მხურვალე ხელი,
აქ ნუ მოვკვდები შენს უნახველი.

ცაში გამოჩნდა... შავი ღრუბელი,
უბერავს ქარი... სულის მხუთველი,
აღმოსავლეთით მოჩანს ნათელი.
იქნებ ისაა?! ჩემი დამხსნელი?!

ქ. ლიონი, 1965 წელი — აგვისტო.

კატასტროფის მსხვერპლი

ისარივით გატყორცნილ გზაზე უმაღლესი კლასის მსუბუქი ავტომანქანა თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდა, უცებ ავარიის გარდუვალობა, მკვეთრი დამუხრუჭება, და კატასტროფის მსხვერპლი გახდა ორი ადამიანის სიცოცხლე — ფრანგი ჰერცოგინიასი და საზღვარგარეთ მოღვაწე პიანისტი-კომპოზიტორის გიორგი ჭავჭავაძისა, რომელსაც ქართული მუსიკალური კულტურისათვის ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ უცხოური ხელოვნების წინაშე მისი ღვაწლი აღნიშნულია და მომავალშიც ალბათ სათანადოდ დაფასდება.

პიანისტსა და კომპოზიტორს გიორგი ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძეს ჰქონია მუსიკალური ნაწარმოებები და მოკიჯნ კუევასთან ერთად დადგმული ბალეტი „პერი“, რომლის მომხიბლველი მსუბუქი მუსიკა ფრინველთა ცხოვრებას გამოსახავს. ჭავჭავაძე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა და აღზარდა რამდენიმე გამოჩენილი პიანისტი, მათ შორის ცნობილი ფილიპ დ' ანტრემონი.

გიორგი (იური) ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძე დაიბადა პეტერბურგში 1904 წლის მაისში. 4 წლისამ ფორტეპიანოს დაკვრა დაიწყო და ისეთი ნიჭი და შრომისუნარიანობა აღმოაჩნდა, რომ უკვე 10 წლისა თავისუფლად უკრავდა ბეთჰოვენისა და ლისტის საფორტეპიანო კონცერტებს, რის გამო მას პატარა სასწაულმოქმედს ეძახდნენ. 1919 წელს იური ლონდონში ჩაიყვანეს, სადაც პროფესორ ლეშეტიცკის სკოლის დამაარსებელთან მისის მებელ ლენდერისთან დაიწყო სწავლა.

გ. ჭავჭავაძის დებიუტი 1927 წლის ივნისში შედგა ლონდონის ვიგმორჰოლში და კრიტიკოსთა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა, რამაც პიანისტის ბედნიერი საშემსრულებლო კარიერის დასაწყისი განამტკიცა. ახალგაზრდა ხელოვანს ტაშით ხვდებოდნენ ბრიტანეთის დიდ ქალაქებში, ლონდონის კვინს-ჰოლში, დედოფლის სასახლეში. მან სახელი გაითქვა პარიზში, ამსტერდამში, კოპენჰაგენში; ნორვეგიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ფინეთის, პორტუგალიის, მექსიკის, ამერიკის მუსიკოსები აღიარებდნენ მის ტალანტს და ნაყოფიერ მუსიკალურ მოღვაწეობას. გ. ჭავჭავაძე საუკეთესო მასწავლებელი და გულისხმიერი ადამიანი იყო. იგი ღარიბ მოწაფეებს ზოგჯერ თავის მამულში უფასოდ აცხოვრებდა და უსასყიდლოდ ამეცადინებდა, ხალისით ეხმარებოდა ყველას.

1962 წელს გიორგი საფრანგეთში იმყოფებოდა საგასტროლოდ. 1962 წ. 12 თებერვლით დათარიღებული წერილით პარიზიდან შეგვატყობინეს: „პიანისტი გიორგი ჭავჭავაძე ავტომობილის უბედური შემთხვევით დაიღუპა ამ სამი დღის წინათ თავის მეუღლით, როგორც მანდ აკაკი ბელიაშვილი“.

სამშობლოს მოწყვეტილი პიანისტი-კომპოზიტორი, მართალია, უცაბედად მოსწყდა ცხოვრებასაც, მაგრამ მინც მოასწრო საკუთარი სკოლის შექმნა, მსოფლიოს მუსიკალურ კულტურასაც მიუზღა თავისი და ხელოვნების ისტორიაში შესაფერი ადგილი დაიმკვიდრა. ამას აღიარებს საზღვარგარეთული პრესაც, რომელიც უცხოეთში ნაყოფიერად მოღვაწე ქართველ არტისტზე წერს: „ბ-ნ ჭავჭავაძის შესრულებისათვის დამახასიათებელია დახვეწილი ტექნიკა. მასში იგრძნობა გაქანება და ენერგია. ყველა მისი კონცერტი მკვეთრად გამოხატული და ნათელია“.

ქართველ პიანისტს ორგანიზაციულ ნიჭსაც უქებდნენ: „პროგრამის კარგად შედგენა არანაკლებ ტალანტს წარმოადგენს, ვიდრე თვითონ ფორტეპიანოს დაკვრა. ჭავჭავაძემ მსმენელებს ისეთი სიამოვნება მიანიჭა, როგორც მხოლოდ ორმაგი ტალანტის მქონე ადამიანებს შეუძლიათ“. ჭავჭავაძის შთამაგონებელ ხელოვნებას თაყვანს სცემდნენ ცნობილი მელომანები. ერთი მათგანი იფიცებოდა: „ჩემს ცხოვრებაში პირველად, როგორც მსმენელმა, გასულ ღამეს ორკესტრ-ჰოლში ვიგრძენი, რომ მე ჩავწვდი ფრანც ლისტის იმ სიდიადეს, რამაც იგი ყველა დროის უდიდესი პიანისტი გახადა... ისეთი ბრწყინვალე იყო პიანისტის ხელოვნება, რომ მსმენელებს დავიწყებოდათ შემსრულებელიცა და მისი ინსტრუმენტიც. იყო მხოლოდ ლისტი, ჩაფიქრებული შუა

ჩვენი კულტურის მეგობრები

საფრანგეთის მთავრმნელთა საზოგადოების ინიციატივით 1953 წელს პარიზში დაარსდა მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაცია. ფედერაციის შემოკლებული სახელწოდებაა „ფიტ“ (ფრანგულად „ფედერასიონ ენტერნასიონალ დე ტრადუკტერ“). მისი პირველი პრეზიდენტი (ამჟამად ვიცე-პრეზიდენტი) იყო ფრანგი მთარგმნელი პიერ-ფრანსუა კაიე, ხოლო გენერალური მდივანი ედმონ კარი. ეს უკანასკნელი სიკვდილამდე (1966 წ. 24 იანვარი) ფედერაციაში შემავალი მხატვრული თარგმანის კომიტეტის თავმჯდომარე იყო და თავისი ავტორიტეტის წყალობით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფედერაციის საქმიანობაში.

ფედერაცია აერთიანებს 22 ქვეყნის (მათ შორის 5 სოციალისტურია) მთარგმნელთა ორგანიზაციებს. იგი მიზნად ისახავს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას და, რაც მთავარია, მთარგმნელთა უფლებების დაცვას. ფედერაციამ ლუბროვიჩის კონგრესზე მიიღო „მთარგმნელის ქარტია“, სადაც ჩამოყალიბებულია მთარგმნელის უფლება-მოვალეობანი. ის საკითხები, რის გადაწყვეტასაც ფედერაცია ცდილობს საბჭოთა მთარგმნელებისათვის, დიდი ხანია მოწესრიგებულია, რადგან საბჭოთა მთარგმნელები მწერალთა კავშირში შედიან. ამიტომაც საბჭოთა ორგანიზაციები ფედერაციის წევრები არ არიან.

1965 წლის მარტში ფედერაციამ დაარსა თავისი ოფიციალური ორგანო — ჟურნალი „ბაბილონი“, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოდის და

მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაცია, ჟურნალი „ბაბილონი“ და ქართული მთარგმნელობის საკითხები

◆

აშუქებს თარგმანის ისტორიის, თეორიის, მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხებს. მისი რედაქცია პარიზშია, გამომცემლობა კი დასავლეთ გერმანიაში. ჟურნალის სახელწოდება უკავშირდება ბიბლიურ თქმულებას ბაბილონის გოდლის შესახებ. ამ თქმულების მიხედვით ადამიანები იმდენად გაამაყდნენ, რომ დაიწყეს ბაბილონის გოდლის შენება, რათა ღმერთს მისწვდომოდნენ ზეცაში. ამაზე ღმერთი გაწყრა და ადამიანებს უეცრად სხვადასხვა ენაზე დააწყებინა ლაპარაკი ისე, რომ მათ ერთმანეთისა აღარა ესმოდათ რა.

ჟურნალის მესვეურთა აზრით თარგმანი მოწოდებულია ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, თითქოს მთარგმნელმა თავისი შრომით უნდა გამოისყიდოს ბაბილონისდროინდელი „ცოდვა“.

„ბაბილონის“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო ედმონ კარი, რომელსაც ეკუთვნის მაღალკვალიფიციური სტატიები თარგმანის თეორიის საკითხებზე: „ეტიენ დოლე“, „თარგმანი და პოეზია“, „თარგმანის საბჭოთა თეორიები“ და სხვ. აგრეთვე ვრცელი სტატია ქართველი პროფესორის გივი გაჩეჩილაძის შრომაზე „რეალისტური თარგმანის პრობლემა“. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანის პრობლემის დიალექტიკურ გადაწყვეტას, რომელიც ქართველი ავტორის შრომაშია მოცემული. ედმონ კარიმ კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენები, პროგრესული მოაზროვნე იყო და დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საბჭოთა თარგმანის სკოლას. მის კალამს ეკუთვნის ცალკე წიგნად გამოქვეყნებული შრომებიც „თარგმანი თანამედროვე მსოფლიოში“, „დიდი ფრანგი მთარგმნელები“, „პროლეგომენები თარგმანის საერთო თეორიისათვის“ და სხვ.

1963 წელს დუბროვნიკის კონგრესს ესწრებოდა საბჭოთა ლიტერატორების ჯგუფი რუსი პოეტის პავლე ანტოკოლსკის მეთაურობით. ჯგუფის შემადგენლობაში იყო ქართველი პროფესორი გ. გაჩეჩილაძეც. აქ დამყარებულ კონტაქტებს მოჰყვა უცხოელი კოლეგების დაინტერესება ქართული თარგმნელობის საკითხებით. ამის შედეგი ის იყო, რომ ჟურნალმა „ბაბილონმა“ ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა პროფ. გ. გაჩეჩილაძის სტატიები „მხატვრული თარგმანი საქართველოში“, ივანე მაჩაბელი, შექსპირის დიდი ქართველი მთარგმნელი“, ხოლო უკანასკნელ ნომერში (1965 წ. № 4) მოათავსა გ. გაჩეჩილაძის სიტყვა, წარმოთქმული ინგლისურ ენაზე ფინეთში გამართულ მთარგმნელთა საერთაშორისო სემინარზე გასული წლის ივლისში. თავის გამოსვლაში გ. გაჩეჩილაძემ უამბო უცხოელ კოლეგებს, თუ როგორ ასწავლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხატვრული თარგმანის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს და რა თეორიულ პრინციპებს ემყარება მთარგმნელთა მომზადება ჩვენს ქვეყანაში.

ჟურნალი „ბაბილონი“ ათავსებს ხუთ ევროპულ ენაზე (ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად და ესპანურად) დაწერილ სტატიებს. ამას წინათ გ. გაჩეჩილაძისათვის მიწერილ წერილში ჟურნალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა „ფიტ“-ის ვიცე-პრეზიდენტმა დოქტორმა გიუშემ გამოთქვა სურვილი გამოაქვეყნონ წერილები რუსულ ენაზეც, რათა ამით ხელი შეუწყონ ჟურნალის გავრცელებას საბჭოთა ქვეყანაში. მიმდინარე წლის პირველ ნომერში „ბაბილონში“ მოთავსებული იქნება ცნობილი რუსი მთარგმნელის ევგენია კალაშნიკოვას სტატია „თარგმანი საბჭოთა კავშირში“ (ინგლისურ ენაზე).

ახლახან ქ. მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა მხატვრული თარგმანის თეორიის აქტუალურ პრობლემებს. სიმპოზიუმი ერთი კვირა გრძელდებოდა და მასში მონაწილეობდნენ „ფიტ“-ის გამოჩენილი მოღვაწეები. სიმპოზიუმზე მოხსენებებით გამოვიდნენ ქართველი მთარგმნელები და თარგმანის თეორეტიკოსები გ. გაჩეჩილაძე, ნატ. ჩხეიძე და თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი ნ. საყვარელიძე.

სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ ქართველი კოლეგების მოწვევით საქართველოში სამი დღით ჩამოვიდა პიერ-ფრანსუა კაიე. სტუმარმა ინახულა თბილისის და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობანი, დაათვალიერა მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და ზედაზენი, შეხვდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ცნობილ ქართველ მწერლებს, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტს ს. ზაქარიაძეს (კაიეს ეკუთვნის ქართული კინოფილმის „ჯარისკაცის მამის“ ფრანგული ტექსტი), ესტუმრა საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს.

ლ. ყიფშიძე.

• • •

სურათზე: მარცხნიდან, მარჯვნივ — მწერალი გრიგოლ აბაშიძე, პიერ-ფრანსუა კაიე, ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე და პროფესორი გივი გაჩეჩილაძე.



ზედაზენი, 7 მარტი, 1966 წელი.

საუკუნეების პოეტის ბრწყინვალებით“. სოლო კონცერტებს გარდა გ. ჭავჭავაძე უკრავდა სიმფონიურ ნაწარმოებებსაც ორკესტრთან ერთად და იმდენად წარმატებად, რომ ჩიკაგოს მუსიკალურ ცხოვრებაში სამუდამოდ აღიბეჭდა ორკესტრ-ჰოლში გ. ჭავჭავაძის გამოსვლა ფრ. სტოკთან და სივიკის ორკესტრთან ერთად გრიგის კონცერტით. „ეს იყო ულამაზესი შესრულება, უჩვეულო პოეზიით. პიანისტს აქვს მკაფიოდ გამოხატული ალღო, რომლითაც იგი ღრმად ჩასწვდა პარტიტურის სიღრმეს“.

გ. ჭავჭავაძე კონცერტებზე ასრულებდა რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც. ლოს-ანჯელოსში გამართულ კონცერტზე შუმანის, შოპენის, დე ფალიასა და რუს კომპოზიტორთა საფორტეპიანო ქმნილებების შესრულების გამო ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა: „ჭავჭავაძეს აქვს შესანიშნავი გრძნობა რიტმისა, რომელიც მთელ მის შესრულებას თავისებურს ხდის, მას აქვს ბრწყინვალე გრძნობა ტაქტისა, რომლითაც ის ფრაზირებას ახდენს და რომელიც ყოველ წუთს მსმენელთა ასეთ აღფრთოვანებას იწვევს“.


გიორგი ჭავჭავაძე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ხშირად საქველმოქმედო კონცერტებსაც მართავდა ევროპაში და ამერიკის კონტინენტზე. 1941 წლის 2 ივნისს კანადაში „ჰის მაჟესტის“ თეატრში მოაწყეს სოლო კონცერტი, რომლის შემოსავალი გათვალისწინებული იყო საჰაერო თავდასხმების მსხვერპლთათვის განკუთვნილი ფონდისათვის. რჩეული საზოგადოების წინაშე ჭავჭავაძის უბადლო გამოსვლის შემდეგ მუსიკათმცოდნე მორის ჰუტი აღნიშნავდა: „აუდიტორია უსმენდა მრავალფეროვან პროგრამას და თუ ვიმსჯელებთ ხანგრძლივად მქუხარე დაუცხრომელი ტაშის მიხედვით, ვგონებ, ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ახალგაზრდა ჭავჭავაძის შესრულებას ახასიათებს ხმის სიმდიდრე, გასაოცარი ტექნიკა და იშვიათად გამჭვირვალე გამოსახვა. მისი ხელები ხან რკინასავით მაგარია, ხან ხავერდივით რბილი... ზოგჯერ გვეგონა, რომ პიანისტს 100 თითი აქვს. განმტკიცდა აზრი, რომ ჭავჭავაძე საუკეთესო და ვირტუოზული ტექნიკის პიანისტია“.

თითქმის ვერ აღმოაჩენთ უფრანალს და გაზეთს, რომელიც გიორგი ჭავჭავაძის ნიო-იორკში გამართულ კონცერტს არ გამოხმაურებოდა. ამ კონცერტზე ქართველმა პიანისტმა შეასრულა ხაჩატურიანის ტოკატა და შოსტაკოვიჩის პრელუდია.

გ. ჭავჭავაძემ სამხრეთამერიკელებიც მოხიბლა. მექსიკის პრესა წერდა: „გამოჩენილი პიანისტი მელოდიური ხასიათის ადგილებს იშვიათი სინატიფით ასრულებდა... შოპენი ცრემლებს ღვრიდა ჭავჭავაძის ხელებქვეშ“.

კარგია, თუ ავტომობილის კატასტროფამ გ. ჭავჭავაძესთან ერთად სამარეში არ ჩაიტანა უცხოეთში მოღვაწე ხელოვანის გონების ნაყოფიც და ერ. ჯაბადარის ნაწარმოებთა მსგავსად მისი მოპოვების, შესწავლისა და გამომზეურების შესაძლებლობა მოგვეცა. ამ სასიკეთო საქმისათვის ბევრი კარგის გაკეთება შეგიძლიათ თქვენ, ძვირფასო გარეჭართველნო.

ა. ცამციშვილი.



სურათზე: გიორგი ჭავჭავაძე.

ახალი ტურნე საზღვარგარეთ



საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები თურქეთში

◆

ოცი წლის წინათ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში უჩვეულო კონცერტი იყო. ნათლობას იღებდა ცეკვის ახალბედა ანსამბლი, რომელიც შეიქმნა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. პირველი ღელვა ხალხის აღტაცებამ დაფარა და დარბაზის ეს განწყობილება ანსამბლს სამუდამოდ დაებედა.

ანსამბლმა არნახული წარმატებით იარა მსოფლიოს ირგვლივ, ქართული ცეკვის ეშხითა და სილამაზით მოხიბლა უთვალავი მაყურებელი. ამ ორი ათეული წლის განმავლობაში ანსამბლს ტაშს უკრავდა ასეული სხვადასხვა ერისა და ტომის წარმომადგენელი. ქართული ცეკვა მნახველის გულსა და გონებაში საქართველოს საოცარი ბუნების სილამაზის ნაწილს ტოვებდა, ხოლო თვით ანსამბლს თან მიჰყვებოდა მილიონთა სიყვარული და აღტაცება.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ანსამბლმა ქართული ცეკვა თითქმის მთელ მსოფლიოს გააცნო. ამჟამად უფრო ადვილია ჩამოვთვალოთ ადგილები, სადაც ჩვენს მოცეკვავეებს „ცერით არ უვლიათ“, ვიდრე ის, სადაც ყოფილან. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტებს უცხოეთის 253 ქალაქში 7.470.000 მაყურებელი დაესწრო.

1953 წელს მსოფლიოს სტუდენტთა და ახალგაზრდობის IV ფესტივალზე რუმინეთში ანსამბლმა უმაღლესი ჯილდო — ფესტივალის დიდი ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

ამჟამად თბილისში ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზში აღარ ისმის ქართული ცეკვის მშვინიერი რიტმის ხმა — ანსამბლი საგასტროლოდ თურქეთში იმყოფება.

ეს არის საზღვარგარეთის ორმოცდამეათე ტურნე და ოცდამეჩვიდმეტე ქვეყანა.

ანსამბლი გასტროლებისათვის სამი თვე გულდაგულ ემზადებოდა. პროგრამა განახლდა რამდენიმე ცეკვით. ესენია „თურქ ქალთა ცეკვა“, „ქართული სახუმარო“, „აზერბაიჯანული“ და „ლაზური“ ცეკვები.

ქართველ მოცეკვავეებს თურქეთში განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად და ამის გამო გამოსვლები სტამბოლში, რომელიც რვა მარტს უნდა დამთავრებულიყო, ოც მარტამდე გაგრძელდა.

თურქეთის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ქართული ანსამბლის სპექტაკლებს.

გაზეთ „აქშამის“ სამხატვრო კრიტიკოსი ჰაითი ასილა ზიჯი წერს: ეს ისეთი ანსამბლია, რომლის სპექტაკლები არ უნდა გააცდინოს ხელოვნების მოყვარულმა. ანსამბლის ყოველი გამოსვლა გვიჩვენებს ხალხური ცეკვის სიმდიდრესა და სილამაზეს. ქართველ მსახიობთა კონცერტი ჭეშმარიტი ხელოვნების დღესასწაულია. ამ ანსამბლის მაგალითით დავინახეთ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ხალხური ცეკვები.

ჩვენი ქვეყნის გენერალურმა კონსულმა სტამბოლში ქართველ მსახიობთა პატივსაცემად კოქტეილი გამართა. სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ სტამბოლის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ჰაშიმ იშჯანი და სხვა ოფიციალური პირები, თურქეთის კულტურის მოღვაწენი, მწერლები და ჟურნალისტები, უჩვენეს რამდენიმე ცეკვა ანსამბლის რეპერტუარიდან. ანსამბლის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ილიკო სუხიშვილმა მადლობა უძღვნა სტუმრებს გულთბილობისათვის, რომელიც ქართული ანსამბლის მიმართ სტამბოლში გამოიჩინეს.

საგასტროლო ტურნე გრძელდება. წინ არის ანკარა, იზმირი, ბურსა. ქართველ მსახიობებს ყველგან თან მიჰყვებათ თურქი მაყურებლის ტაში და აღტაცება.

ზ. რცხილაძე.

ფერილი კრაპოვნიდან

(დასასრული)

დამ ვცდილობ თავი შევიკავო, მაგრამ როდესაც წერილს გწერთ, მე საქართველოს ვხედავ, მთელი ჩემი წარსული თვალწინ მიდგება, ჩემი თავის ბატონ-პატრონი აღარ ვარ... და ჩემდა უნებურად გწერთ იმას, რასაც განვიცდი და რასაც გული მიკარნახებს.

ანდა, ვინ იცის, იქნებ უკეთესიც არის, რომ გწერთ ყველა ამას... და საკმარისად ვერც კი... თუმცა სურვილი დიდი მაქვს და არც მასალა მაკლია. მაგრამ, სამწუხაროდ, არა მაქვს ჯერჯერობით დრო. სიტყვებით, გრამატიკითაც ძალიან ღარიბი ვარ, რომ აზრები უფრო შინაარსიანი, მკაფიო და შეხმატკბილებული გამოვიდეს. ვინ იცის, კიდევ რა მომელის, სანამ მეღირსებოდეს და ფეხს დავდგამდე ძვირფას, სანატრელ, სათაყვანებელ სამშობლოს არემარეზე... და გადავავლებდე თვალს, დავტკბებოდე მისი ანდამატური სილამაზით, სიმშვენიერით.

ასეთი მოვლენა ძალიან იშვიათად ეღირსება ადამიანს ცხოვრებაში... და რომ ვუფიქრდები — განგებამ მეც მაღირსა ასეთი განუსაზღვრელი ბედნიერება. თუმცა ჩემს თავში მეპარება ეჭვი; ნუთუ შევძლებ და გადავიტან ამ უძლიერესი სიხარულის და ბედნიერების ტალღებს? ვინ იცის, იქნებ ტკივილ შემერყეს, გული გამიჩერდეს და ენაც ჩამივარდეს. ამიტომ აღარ ვნახო და არც მერიდება, თუ გინდ მართლაც სისუღელეს გწერდე, ვინაიდან გულისა და სულის გრძნობანი ამას მიკარნახებს.

და თუ უკანასკნელ წუთებში ბედმა მართლაც აღარ გამიღიმა, უკვე კარზედ მომდგარი სიხარული და ბედნიერება უცბათ გაქრა ჰაერში, ვითა ბუშტი საპნისა, მაშინ ყველა ეს ჩემი გულით, სულით, გრძნობებით ნაკარნახევი იყოს ჩემგან ვითა აღსარებანი ჩემი ძვირფასი სამშობლოსათვის, ჩემი ქვეყნისათვის... მისი უდანაშაულოდ გადაკარგული, ტანჯული შვილისაგან.

საქართველოსათვის გიგზავნით ზოგიერთი ლექსის ნიმუშს, ამ ოცდაათი წლის წინათ დაწერილს, არა იმიტომ, რომ დაბეჭდვას გთხოვდეთ, სრულებითაც არა. მხოლოდ წაიკითხოთ, შეიტყოთ, თუ იმ ხანებში როგორი გრძნობებით და სურვილებით ვიყავი გამსჭვალული. ამავე დროს გიგზავნით ორს უკანასკნელად დაწერილს — ერთი სანამ ვიზაზე პასუხს მივიღებდი, მანამ დაგწერე, მეორე კი — როდესაც პასუხი მივიღე.

ვიზა მომცეს ერთი თვით, მე სამი თვით ვითხოვე. ვნახოთ, მანდ თუ ჩამოვედი, იქნებ ერთი თვით კიდევ გამიგრძელონ, რომ მეღირსოს სამშობლოში ორი თვით მაინც ცხოვრება-ბედნიერება. ჩემს ცოლშვილსაც ძალიან ენატრება, სურვილი აქვთ საქართველოსი და ჩემიანების ნახვა-გაცნობისა. ბევრიც მთხოვეს, მაგრამ მე ვამჯობინე მარტოკა წამოვიდე. მცხვენიან და ძალიანაც დავიტანჯებოდი, რომ ჩემს ქვეყანაში, ჩემს სამშობლოში მე თვითონ ვიყო თარჯიმანი ჩემი ოჯახის წევრთა. მინდა წუთიერად მაინც ვიგრძნო, წარმოვიდგინო ჩემს სამშობლოში მთლიანი, ნამდვილი სიხარული და ბედნიერება.

ახლა წამოსვლას ვარჩიე გაზაფხული, როდესაც ყველაფერი გაღვიძებულია, გალამაზებული. მინდა, ორმოცი წლის უნახავმა ვნახო ჩემი ქვეყანა აყვავებული და გახარებული...

ვფიქრობ წამოსვლას აპრილის დამლევს. მაპატიეთ, რომ თავი მოგაბეზრეთ. კიდევ და კიდევ დიდ მადლობას გიძღვნით! ვიცი, დიდი ღვაწლი მიგიძღვით ჩემს მანდ წამოსვლის ნებართვაზე.

მოგილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას, სიხარულს და გამარჯვებას თქვენის ოჯახით და ყველა თქვენი კეთილებით, აგრეთვე — თქვენს საზოგადოებას.

იმედია, მალე გინახულებთ და გაგიცნობთ.

პატივისცემით
გიორგი ყალაბეგიშვილი.

კრაპონი, 7 თებერვალი, 1966 წელი.



თბილისი, შენდება ახალი 20-სართულიანი სასტუმრო „ივერია“.

ᲓᲘᲓᲔᲙᲘᲜᲔᲜ ᲛᲝᲙᲘᲚᲔᲕᲔᲜ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲜ ᲫᲐᲙᲐᲘᲐᲡ!

ᲡᲐᲓᲐ ᲮᲐᲠ, ᲛᲐᲛᲐ!

მე უკვე 26 წლის ვარ... ამდენივე წელია შენ არ გინახავს სამშობლო. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე თბილი, ძალიან თბილი ბარათი და შენი სურათები შეგვრჩა. მე არ გახსოვარ?.. ერთი წლის ვიყავი, როცა ომში დაჭრილი ვაჟკაცების დასახმარებლად კიევში გადაფრენილხარ...

ვკითხულობ, ყველა ახლობელს ვეკითხები შენს შესახებ, დედას ხშირად ვთხოვ მომიყვეს შენზე რაც შეიძლება ბევრი.

ნოდარი ინჟინერია, ასპირანტურას ამთავრებს. მე საექიმოს ვამთავრებ წელს. მკურნალი ექიმი ვიქნები რამდენიმე თვეში. ვეალერსები შენს ხელნაწერებს, ვკითხულობ და, ვფიქრობ, ვლევა, რომელიც შენ დაგიწყია, იქნებ მე დავამთავრო...



დედა დაიღალა ლოდინში. არ უნდა დაიჯეროს, რომ ვერ გიხილავს. მომავდავი ბებიას უკანასკნელი სიტყვა „ბურსა“ იყო. ბაბუას უკანასკნელი კითხვა კი — „იმ ბიჭის რამე ხომ არ გაგიგიათო“. შენი სახელის ხსენებაში ყველაზე ადრე გარდაიცვალა ლიზა მამიდა.

ისე კი ჩვენ ყველანი კარგად ვცხოვრობთ. თინა მამიდას შენი დაკარგვის მემდეგ დაბადებული შვილებიც კი შენ გიფიცებენ.

იქნებ ხარ, მამა სადმე და ხმა ვერ მოგიწვდენია. იქნებ გუაგს სადმე ცოლშვილი და არ გინდა შენი ნებით მათ ულალატო. გვაცნობე მხოლოდ სად ხარ? იქნებ დაგვენახო, ან ჩვენ ჩამოვიდეთ შენთან. გაგვაგებინე შენი ამბავი, მოგვწერე რამე.

მე და ნოდარი ისევ იმ ბინაში ვართ, სადაც შენ გაატარე სტუდენტობა. ვაგრძელებთ ჩვენი წინაპრების ტრადიციას—ვართ ყველასათვის კეთილნი.

დედა ქუთაისშია. შენზე და ჩვენზე ფიქრობს. შენზე ოცნებას და ჩვენს აღზრდას შესწირა თავისი ახალგაზრდობა.

შენი მანანა ძაჯაია.
ქ. თბილისი, ვეძინის ქ. № 8.

* * *

სურათზე: არსენ იასონის-ძე ქაჯაია (დაბადებული 1903 წელს, გეგეჭკორის რაიონის სოფ. ჯოლევში).

რადიო

მაუწყებლობენ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.